

პროგრამის სახელწოდება: ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი დიმიტრი კობახიძე

პროგრამის თანახელმძღვანელი- პროფესორი გურამ ამცოლაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას. აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ქართული ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად დადასტურებული ცოდნის (B1 დონე) ან ქართული ენის B1 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ბიზნესის მართვისა და მენეჯმენტის თეორიული ცოდნის პარალელურად ექნებოდათ ორგანიზაციის საქმიანობასა და მონაცემებზე, პროცესებსა და რისკებზე, მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირებისა და გაანალიზების უნარი. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების კვალიფიკაცია იქნება როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრების მზარდი მოთხოვნების შესაბამისი.
- კურსდამთავრებულმა შეძლოს პროექტების, კვლევების, ოპერაციებისა და სტრატეგიების შემუშავებისა და მართვის გამოცდილების დაგროვება და თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, თანამშრომლობისა და ურთიერთობების მართვის უნარის დაუფლებას, მშობლიურ და უცხო ენებზე.
- კურსდამთავრებულმა შეძლოს ორგანიზაციისა და პიროვნების სოციალური პასუხისმგებლობის განცდით, კულტურული ღირებულებების დაცვითა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.
- კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო განვითარებისა და განათლების დაგეგმვა-განხორციელების კომპეტენცია.

სწავლის შედეგები:

ცოდნა გაცნობიერება

1. განიხილავს ბიზნესის მართვისა და მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებს, კონცეფციებსა და ორგანიზაციულ გარემოზე მოქმედ ფაქტორებს;
2. აანალიზებს მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს ორგანიზაციის ფუნქციონალურ გარემოში, და განიხილავს მათ დინამიკას;
3. აღწერს ორგანიზაციის საქმიანობასა და მასზე მოქმედ შიდა და გარე გარემოს. რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ეძებს ბიზნესის სამოქმედო სფეროებთან დაკავშირებული გამოწვევების შესაბამის ინფორმაციას;

4. ახდენს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას, მათი მართვის გზების დასახვასა და პროცესის განხორციელებას;

უნარი

5. მოიხმარს თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ორგანიზაციის ლოჯისტიკური საჭიროებებისა და რესურსების მართვის განსაპირობებლად;
6. ახდენს პროექტების, ოპერაციების და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში თანამშრომლობას, ლიდერობისა და თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით;
7. საუბრობს ქართულ და უცხო ენებზე ადგილობრივი თუ საერთაშორისო კომუნიკაციების სრულფასოვნად წარსამართად;
8. ახდენს მენეჯმენტის სფეროში კვლევითი თუ პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავებას, განახორციელებასა და წარადგენას შესაბამისი ფორმებითა და ტექნოლოგიებით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. ასრულებს მენეჯერულ მოვალეობებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის პრინციპების გათვალისწინებით; ახდენს როგორც საკუთარი, ასევე სხვათა პროფესიული განვითარების შეფასებასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. მონაწილეობას ღებულობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

პროგრამის სტრუქტურა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 4-წლიანი. სწავლება მოიცავს 240 კრედიტს; სემესტრი 30 კრედიტი; წელიწადში 60 კრედიტი.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები: 171 კრედიტი (მათ შორის წინასადიპლომო პრაქტიკა სპეციალობაში - 14 კრ.; საბაკალავრო ნაშრომი - 16 კრ.).

სპეციალობის ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები: 42 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები: 11 კრედიტი

სავალდებულო არჩევითი თავისუფალი სასწავლო კურსები: 16 კრედიტი

1 კრედიტი = 25 აკადემიური საათი.

ერთი აკადემიური წელი: 42 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 19 კვირა

(მათ შორის: სასწავლო -15; სასესიო -4; დამატებითი გამოცდები -2).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (**A**) ფრიადი – 91–100 ქულა;

ა.ბ) (**B**) ძალიან კარგი – 81–90 ქულა;

ა.გ) (**C**) კარგი – 71–80 ქულა;

ა.დ) (**D**) დამაკმაყოფილებელი – 61–70 ქულა;

ა.ე) (**E**) საკმარისი – 51–60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით:

სემესტრული შეფასება ითვალისწინებს ორ კომპონენტს - **შუალედური და დასკვნითი შეფასება**. თითოეულ კომპონენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში, რომელსაც თავად განსაზღვრავს პედაგოგი (1) 70/30 ან (2) 60/40), რაც იმას ნიშნავს რომ პირველ შემთხვევაში შუალედური შეფასება მოიცავს შეფასების 70%, ხოლო დასკვნითი შეფასება 30%, მეორე შემთხვევაში, შუალედურ შეფასებას ეთმობა 60%, ხოლო დასკვნითს 40%.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტიურობა სემინარზე/პრაქტიკულზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანები, ესსე, და ა.შ) ამ კომპონენტების შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს საგნის პედაგოგი საზღვრავს თავად გარდა შუალედური გამოცდისა, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასების აუცილებელ კომპონენტს და მისი პროცენტული მაჩვენებელი (1) 70/30- შემთხვევაში უნდა იყოს 30 ქულა, ხოლო (2) 60/40- შემთხვევაში 20 ქულა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა დასკვნითი გამოცდაზე გასვლის არის შუალედური შეფასების მინიმუმ 50%.

დასკვნითი გამოცდა, დასკვნითი შეფასების აუცილებელი პირობაა. დასკვნითი შეფასების გადალახვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%+1-ია, თუ სტუდენტის ქულა 41-50 ქულამდე მერყეობს, მას ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, ხოლო თუ სტუდენტის ქულა ნაკლებია 41-ზე, სტუდენტს სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის შუალედური შეფასება ტოლია ან მეტია 51 ქულის, სტუდენტი ვალდებულია დასკვნით შეფასებაში გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სტუდენტს უფლება აქვს დამატებით გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 51 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

საბაკალავრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი და საბაკალავრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს მენეჯერად, რომელიც ასრულებს მენეჯერის სხვადასხვა ფუნქციას, ხელმძღვანელობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებით. ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში, დაკავდეს სამეცნიერო - კვლევით საქმიანობით. დასაქმდეს ჯანდაცვისა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ორგანიზაციებში.